

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
და დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

„საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ზოგიერთი გადაწყვეტილების ნორმატიული აქტებისათვის მიკუთვნების თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 იანვრის №1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1.

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ზოგიერთი გადაწყვეტილების ნორმატიული აქტებისათვის მიკუთვნების თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 იანვრის №1 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 11/02/2020, სარეგისტრაციო კოდი: 010210060.74.086.016001) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილების დანართი 3-ით დამტკიცებული „სასამართლოს მანდატურის სამსახურებრივი ფორმის ტანსაცმელი და ატრიბუტიკის“ პლანშეტი 1-ის:

ა) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. პულოვერი უსახელო - შავი ფერის, ამოღებული გულით. მზადდება ნახევრად შალის ქსოვილისაგან. ქსოვილის შემადგენლობა: შალი - 50% (+/-5%); აკრილი - 50% (+/-5%) ან პოლიესტერი - 50% (+/-5%).“;

ბ) მე-7-მე-8 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7. საზაფხულო ფეხსაცმელი – შავი ფერის, კლასიკური ფორმის, დაბალი ყელით. საზედაპირე ტყავი ნატურალური (რბილი), ზედაპირი ტერფის წინა ნაწილში გადაკერილი. ტყავის სისქე: 1,6-1,8 მმ. სარჩული: კოჭფარისა და ქუსლის ნაწილი - ნატურალური ტყავის; ფეხსაცმლის წინა ნაწილი - ნატურალური ბოჭკო (ტილოს) ქსოვილი. ჩასაფენი ღაბაში: ანატომიური ფორმის. საძირე მასალა: PU ან PU PU.

8. ზამთრის ფეხსაცმელი – შავი ფერის, ნახევრადმაღალი. საზედაპირე ტყავი ნატურალური (რბილი), ზედაპირი ტერფის წინა ნაწილში გადაკერილი. ტყავის სისქე 1,6-1,9 მმ. მათბუნებელი სარჩული: სპეციალური მასალის - პოლიესტერის ქსოვილზე დუბლირებული ღრუბელი. ჩასაფენი ღაბაში: ანატომიური ფორმის. საძირე მასალა: რეზინი.“.

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი

განმარტებითი ბარათი

„საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ზოგიერთი გადაწყვეტილების ნორმატიული აქტებისათვის მიკუთვნების თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 იანვრის №1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დადგენილების პროექტზე

პროექტის მიღების (გამოცემის) მიზეზი

პროექტი ითვალისწინებს სასამართლოს მანდატურის სამსახურებრივი ფორმის ტანსაცმლის აღწერილობაში ცვლილების შეტანას და უსახელო პულოვერის, საზაფხულო და ზამთრის ფეხსაცმლის ტექნიკური პარამეტრების დაზუსტებას, რათა ისინი შესაბამისობაში იქნეს მოყვანილი ბაზარზე არსებული პროდუქციის მახასიათებლებთან, ამასთან, გაიზარდოს მათი კომფორტი და ხარისხი.

პროექტის მიღებით გამოწვეული საფინანსო-ეკონომიკური შედეგების გაანგარიშება

პროექტის მიღება არ გამოიწვევს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი ასიგნებების გამოყოფას.

პროექტის ავტორი და წარმდგენი

პროექტის ავტორი და წარმდგენია საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო.